სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 9 ივლისის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი № 6

ქ. თბილისი 05/07/2024

18:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზურაბ გოგშელიძე
2. აკაკი მიქაბერიძე
3. მირანდა მიქაძე
4. სალომე ჩიტიშვილი

2024 წლის 05 ივლისს, 18:00 საათზე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსის 212 აუდიტორიაში გაიმართა აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებისათვის შექმნილი საარჩევნო კომისიის მეექვსე სხდომა.

მოისმინეს:

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ - ზურაბ გოგშელიძემ, რომელმაც კომისიის წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

<u>დღის წესრიგის პროექტი</u>

1. აკადემიური საბჭოს არჩევნებზე საარჩევნო სუბიექტის (კანდიდატის) წარმომადგენლის დარეგისტრირება;
2. საარჩევნო დოკუმენტაციის დამტკიცებულ ფორმებში ზოგიერთი ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
3. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი და საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

ჩატარდა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ გოგშელიძემ კომისიის წევრებს გააცნო საარჩევნო კომისიის სახელზე შემოსული განცხადება, რომლითაც არჩევნებზე დარეგისტრირებული კანდიდატი თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან პროფესორი ნუგზარ თოდუა ითხოვს არჩევნებზე საკუთარი წარმომადგენლის - მიშიკო კილასონიას დარეგისტრირებას.

აზრი გამოთქვეს:

წარმოდგენილი ინფორმაციის თაობაზე კომისიის წევრთა შორის გაიმართა მსჯელობა. აზრი გამოთქვეს საარჩევნო კომისიის მდივანმა აკაკი მიქაბერიძემ, კომისიის წევრებმა სალომე ჩიტიშვილმა და მირანდა მიქაძემ. კომისიის წევრებმა დააფიქსირეს, რომ საჭიროა საარჩევნო სუბიექტის (კანდიდატის) წარმომადგენლის დარეგისტრირება და რეგისტრაციის შემდგომ მასზე გაიცეს შესაბამისი ფორმის მოწმობა.

კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ გოგშელიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საარჩევნო სუბიექტის (კანდიდატის) წარმომადგენლის - მიშიკო კილასონიას დარეგისტრირების შესახებ.

1. **<u>სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებზე საარჩევნო სუბიექტის (კანდიდატის) წარმომადგენლის - მიშიკო კილასონიას დარეგისტრირების შესახებ.</u>**

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საარჩევნო კომისიის დამსწრე წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

<u>დარეგისტრირდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებზე საარჩევნო სუბიექტის (კანდიდატის) წარმომადგენლად მიშიკო კილასონია და გაიცეს მასზე შესაბამისი ფორმის მოწმობა.</u>

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ გოგშელიძემ სხდომის მონაწილეებს განუმარტა, რომ საარჩევნო კომისიის მიერ შემუშავებულ და N5 სხდომის ოქმით დამტკიცებულ საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმებში გვხვდება მცირე ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ კი გამოყენებულია ტერმინი: „ცენტრალური საარჩევნო კომისია“, რაც არ შეესაბამება არჩევნების რეგლამენტით გათვალისწინებულ ტერმინოლოგიას, ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად, უნდა იყოს გამოყენებული ტერმინი: „საარჩევნო კომისია“. შესაბამისად, მიზანშეწონილია მოხდეს დამტკიცებულ ფორმებში შესწორების შეტანა და გამოყენებული ტერმინოლოგიის ნორმატიულ დოკუმენტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა გაიზიარეს მოსაზრება და შეიმუშავეს საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმებში ცვლილება.

კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ გოგშელიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საარჩევნო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანის და ახალი ფორმების დამტკიცების შესახებ დანართის შესაბამისად (დანართი 1).

2. <u>სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების მიზნებისთვის ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის შესწორებული ფორმების დამტკიცება დანართის შესაბამისად (დანართი 1).</u>

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საარჩევნო კომისიის დამსწრე წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

<u>დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების მიზნებისთვის ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის შესწორებული ფორმები დანართის შესაბამისად (დანართი 1).</u>

თავმჯდომარე:

/ზურაბ გოგშელიძე/ ----------

მდივანი:

/აკაკი მიქაბერიძე/ ----------

დანართი 1
არჩევნების შედეგების აქტის ფორმა

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის
9 ივლისის არჩევნები

არჩევნების შედეგების აქტი

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის საარჩევნო ქვეკომისიების მიერ წარმოდგენილი კენჭისყრის შედეგების
შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის მიერ დადგინდა შემდეგი:

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით				
არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით				
მიღებული ბიულეტენების საერთო რაოდენობა				
გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა				
საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა				
ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა				
გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა				
ბათილი ბიულეტენების რაოდენობა:				
შედეგები ფაკულტეტების/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მიხედვით				
ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დასახელება				
ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით				
არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით				
მიღებული ბიულეტენების საერთო რაოდენობა				
გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა				
საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა				
ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა				
გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა				
ბათილი ბიულეტენების რაოდენობა				

საარჩევნო სუბიექტის/სუბიექტების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა					
N	საარჩევნო სუბიექტი	მიღებულ ხმათა რაოდენობა			
რიგითი ნომერი	სახელი გვარი				

დანართი 1
არჩევნების შედეგების აქტის ფორმა

განსხვავებული აზრი	ხელმოწერა

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:		ზურაბ გოგშელიძე
საარჩევნო კომისიის მდივანი:		აკაკი მიქაბერიძე
საარჩევნო კომისიის წევრი:		შორენა დარჩიაშვილი
საარჩევნო კომისიის წევრი:		მირანდა მიქაძე
საარჩევნო კომისიის წევრი:		სალომე ჩიტიშვილი
საარჩევნო კომისიის წევრი:		ლევან ხარანაული
საარჩევნო კომისიის წევრი:		პავლე ჯაგუნავა

შედეგების აქტის შევსების თარიღი და საათი:.....

ბ.ა. .....

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის
9 ივლისის არჩევნები

არჩევნების შემაჯამებელი აქტი

არჩევნებში მიღებული ხმების მიხედვით სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის მიერ დადგინდა შემდეგი:

ფაკულტეტებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან აკადემიურ საბჭოში არჩეულ იქნა შემდეგი კანდიდატები:	
ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დასახელება	
N	საარჩევნო სუბიექტი
1.	სახელი გვარი

განსხვავებული აზრი	ხელმოწერა

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:		ზურაბ გოგშელიძე
საარჩევნო კომისიის მდივანი:		აკაკი მიქაბერიძე
საარჩევნო კომისიის წევრი:		შორენა დარჩიაშვილი
საარჩევნო კომისიის წევრი:		მირანდა მიქაძე
საარჩევნო კომისიის წევრი:		სალომე ჩიტიშვილი
საარჩევნო კომისიის წევრი:		ლევან ხარანაული
საარჩევნო კომისიის წევრი:		პავლე ჯაგუნავა

შედეგების აქტის შევსების თარიღი და საათი:.....

ბ.ა. .....